საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 3 2019 წლის 9 იანვარი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სეზონური გრიპის შემთხვევათა მკურნალობისა და გავრცელების კონტროლისათვის საჭირო ანტივირუსული მედიკამენტ ოსელტამივირის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სოციალური მომსახურების სააგენტომ განახორციელოს 10 000 (ათი ათასი) კოლოფი ოსელტამივირის შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით რეფერალური პროგრამისათვის (პროგრამული კოდი – 27 03 03 09) გათვალისწინებული ასიგნებიდან.

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს მოსახლეობის შესაბამისი ჯგუფებისათვის მედიკამენტების მიწოდების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**